რუსუდან თევზაძე

მოსაზრებები ეკონომიკური ბირთვისა და ზრდის პოლუსების შესახებ

რუსუდან თევზაძე
სტუ-ს დოქტორანტი

სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემის რეფორმირების პროცესი მონეტარულ საფუძველზე შეეხო მრავალ ქვეყანას – სადღაც ის უკვე ხორციელდება არაერთი ათწლეული (მაგალითად, ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში), სხვაგან კი – მხოლოდ რამდენიმე წელი (ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები), ამასთან დაკავშირებით სავსებით მართლზომიერია დავსვათ კითხვა: დასაბუთებულად გამოიყენეს კი ქვეყნებმა მონეტარული მიდგომა ეკონომიკის რეფორმირების სტრატეგიული კურსის შემუშავებისას? ცნობილია, რომ უნიფიცირებული მიდგომა სხვადასხვა ობიექტის მიმართ ყოველთვის როდია გამართლებული. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ 1930–1940 წლებში რეგულირების კეინსიანურმა მეთოდებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკის ეფექტიანობა ზოგიერთ სახელმწიფოში. ჯობია, არ მოგვიცვას ნიჰილისტურმა ეიფორიამ და არ დავივიწყოთ, რომ სოციალისტურ ეკონომიკაში გამოიყენებოდა სხვა მეთოდები და მიდგომები მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელთა საფუძველზეც გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს მიაღწიეს სოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში (სხვათა შორის, მსგავსი მეთოდები გამოიყენებოდა სამხრეთ კორეული ეკონომიკის განვითარების პროცესში, რაც აგრეთვე მოწმობს მათ ეფექტიანობას).

საქართველოში განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესებმა განაპირობა მრავალი პრობლემის წარმოშობა, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს აგრეთვე ტერიტორიული სპეციფიკის გათვალისწინებას. უფრო მეტიც, მრავალ საკითხში რეგიონული ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ განაპირობა ტრანსფორმაციული საბაზრო გარდაქმნის არასაკმარისად მაღალი ეფექტიანობა. თეორიულად რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე დგება სივრცობრივი სტრუქტურების ოპტიმიზაციის ამოცანა მაკროეკონომიკური პოზიციიდან, ამიტომ შეუფასებლობა, მით უფრო საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების რეგიონულ თავისებურებათა იგნორირება უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში საერთო ეკონომიკურ სიტუაციაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში ზრდის პოლუსების და პროპულსური დარგების გამოყოფა ხელს უწყობს ეკონომიკური პროცესების განვითარებას: შრომითი რესურსების დასაქმების გაზრდას, მეურნეობის ურთიერთდაკავშირებული დარგების ფუნქციონირებას. ეკონომიკური ბირთვის (მათ შორის ეკოლოგო-ეკონომიკური) ჩამოყალიბების პირველმიზეზებად გვევლინება რესურსების და შესაძლებლობების შეზღუდულობა, გადაუჭრელი სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემების რაოდენობა და სიმწვავე. ამასთან არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში, როცა მსოფლიო რესურსების შეზღუდულობა გახდება ერთიერთი მთავარი პრობლემა, ეკონომიკური ბირთვის თეორიის დებულებათა გამოყენება სამეურნეო პრაქტიკაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

ეკოლოგო-ეკონომიკური ბირთვის ჩამოყალიბებისას შესაძლებელია ორი სიძნელის წარმოშობა: იმპულსის ძალა შეიძლება იყოს მიმართული არა იმ რაიონებზე, რომლებიც საჭიროებს დახმარებას, არამედ მაღალგანვითარებულ რაიონებზე, რომლებსაც ეკონომიკურად დაუკავშირდება ზრდის პოლუსების პროპულსური დარგები; შეიძლება წავაწყდეთ რესურსების დეფიციტს (ფინანსურსა და შრომითს). ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ბირთვწარმომქმნელი პროცესის გააზრებული მართვა, მაქსიმალური ეფექტის მისაღებად[1]. მსგავს პირობებში ფინანსების მართვა პრიორიტეტული ამოცანა ხდება. შემდეგ – შრომითი რესურსები და შრომის საგნები. საბაზრო პირობებში მკვეთრად იზრდება ტერიტორიის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის მნიშვნელობა. ინვესტიციათა გადანაწილება ზრდის პოლუსებში ხელს შეუწყობს სინერგიულ ეფექტს და გამოიწვევს არა მარტო რეგიონში წარმოების ზრდას, არამედ სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებასაც, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. ეს გარემოებები გააქტიურებს რეგიონულ ბირთვწარმოქმნას და ამ პროცესის მართვას.

იმ რეგიონულ ეკონომიკათა "ბირთვების" ჩამოყალიბების და გამოყოფის თემა (როგორც წესი, მათ სხვაგვარად ეძახდნენ – მაგალითად ტსკ, ე.ი. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი),

რომლებიც ხშირად წარმოდგენილი იყო დარგების კომპლექსებით, ეკონომისტების მიერ არაერთხელ იქნა წამოწეული სხვადასხვა ასპექტში, მაგრამ, როგორც ჩანს, თეორიული რეკომენდაციები არ იყო საკმარისად შემუშავებული და ამიტომ პრაქტიკაში წარმატებით არ გამოიყენებოდა (ასე მოხდა ეს, მაგალითად, ზრდის პოლუსის თეორიის შემთხვევაში).

ეკონომიკური ბირთვის თეორია მნიშვნელოვნად განვითარდა დასავლეთში 1960-იან წლებში. პოლარიზებული განვითარების თეორია იმ პერიოდში რეგიონულ კვლევებში საკვანძო მიმართულებას წარმოადგენდა. ზრდის პოლუსების კონცეფცია საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის რეგიონულ პროგრამას.

დასახლებული პუნქტების რეგიონული სისტემების და ქვესისტემების წამყვანი ელემენტებია მათი ცენტრები (ბირთვები), რომლებიც ერთმანეთს ექვემდებარება. ამგვარად, რეგიონალისტიკაში ეკონომიკურ ბირთვში ხშირად იგულისხმება "ზრდის პოლუსების" ერთობლიობა, მას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებაში. ნათქვამი განსაკუთრებით სამართლიანია გარდამავალი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების და მდგომარეობების მიმართ, ე.ი. იმ პირობებში, როცა ეკონომიკური სისტემა გადადის ერთი შედარებით მდგრადი მდგომარეობიდან მეორეზე.

ზრდის პოლუსის კონცეფცია საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის რეგიონულ პროგრამას. ყოველგვარი პოლუსის და განვითარების ცენტრის შექმნა თავდაპირველად მიზნად ისახავდა ეკონომიკური საქმიანობის აქტივიზაციას ჩამორჩენილ პერიფერიულ რაიონებში. პოლარიზაცია რაიონულ დონეზე განიხილებოდა, როგორც ტერიტორიული დეკონცენტრაციის საშუალება მაკროდონეზე, რომელსაც შეუძლია ცალკეული სუპერ რეგიონების ან ცენტრების მკვეთრი დომინირების შესუსტება.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგს სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი ზრდის პოლუსის კონცეფციის მიმართ შესუსტდა, სამაგიეროდ გაძლიერდა იმ კონცეფციების და თეორიების ინტერესი, რომლებიც ხსნიდა უთანაბრობის მუდმივი კვლავწარმოების პროცესს ქვეყნების და რეგიონების განვითარებაში, ჩამორჩენილობის შენარჩუნების მიზეზებს. წინ წამოწიეს ურთიერთობათა მეორე ფორმა ცენტრსა და პერიფერიას შორის – დამოკიდებულების ფორმა. კონცეფციის "ცენტრი – პერიფერია" კლასიკოსად დასავლეთში აღიარებულია ჯ. ფრიდმანი.

ჯ. ფრიდმანი განასხვავებს რამდენიმე წამყვან ფაქტორს, რომლებიც განსაზღვრავს ბირთვის დომინირების სტაბილურობას პერიფერიაზე. ერთი მხრივ, გამუდმებული ინოვაციური საქმიანობა ქმნის სასურველ პირობებს მისი შემდგომი განვითარებისთვის სწორედ ბირთვის ფარგლებში, უზრუნველყოფს რა მაქსიმალურ მისაწვდომობას ყოველგვარ კონტაქტთან და კავშირთან. ამით აგლომერაციულ ეფექტთან ერთად წარმოიშობა ფსიქოლოგიური ეფექტიც, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის ეკონომიკის შემდგომ მოდერნიზაციას და ხარისხიან ტრანსფორმაციას. მეორე მხრივ, ცენტრის მიერ რესურსების მუდმივი ამოქაჩვა ასუსტებს პერიფერიას, რითაც აძლიერებს და განამტკიცებს სხვაობას მათ შორის.

ზრდის პოლუსის კონცეფცია აქტიურად შეიმუშავეს ფრანგმა მეცნიერებმა ფ. პერუმ და მისმა მოსწავლემ ჟ. ბურვილმა. პერუს ზოგადი თეორია ეფუძნებოდა სამ კონცეფციას: მადომინირებელ ეკონომიკას, ჰარმონიზებულ ზრდას, საყოველთაო ეკონომიკას. პერუს თეორიის ამოსავალი პუნქტი – "დომინირების ეფექტი" – მდგომარეობდა ეკონომიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობათა არსისა და ფორმების შეცვლაში. ეს ეფექტი იწვევს "წარმოების პოლარიზაციას" დარგის გარშემო ("ზრდის პოლუსი"), სადაც ეკონომიკური ერთეულები წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანის ნაწილები ("მაკროერთეულები"). შედეგად სტიქიური, "აგრესიული" კონკურენცია ქრება, ხოლო პარტნიორების მოქმედებათა ერთობლივი ეფექტიანობა იზრდება. როგორც ი.მ. პავლოვი ამტკიცებდა, პერუ ეკონომიკურ სივრცეს განიხილავდა, როგორც წმინდა აბსტრაქტულს, რაღაც ძალთა ასპარეზს (არეს), რომლის დაძაბულობა უთანაბროა და მასში მოქმედებს გარკვეული ცენტრისკენული ძალები მიმართული ცენტრებისკენ, პოლუსებისკენ ან ფოკუსებთან და მათგან გამომდინარე ცენტრიდანული. ყოველ ფოკუსს აქვს საკუთარი ძალთა არე, რომელიც თავსდება სხვა ფოკუსების სისტემაში; ფოკუსებს მიაკუთვნებენ ზრდის ფუნქციურ პოლუსებს.

ზრდის პოლუსი – ეს ცნება არა იმდენად სივრცობრივია, რამდენადაც ფუნქციური (დინამიკის მატარებელი), თუმცა სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში ის ყველაზე რელიეფურად წარმოჩნდება სწორედ ტრადიციულ გეოგრაფიულ სივრცეში და ჩვეულებრივ ემყარება მრეწველობის დარგებს. სწორედ მრეწველობა ახდენს ძლიერ გავლენას სხვა დარგების განვითარებაზე, აქვს მათთან მჭიდრო საწარმოო კავშირი და ხელს უწყობს ეკონომიკურად ეფექტიან კონცენტრაციას[2]. ამგვარად არის რა უშუალოდ დაკავშირებული ზრდის თეორიებთან, ზრდის პოლუსის კონცეფცია ხაზს უსვამს მიზეზებს კი არა, არამედ მარტოოდენ ეკონომიკური

და სოციალური პროცესების გამოვლენის ფორმებს. ეს თეორია და მის მიერ გამოყენებული კონცეფცია გამოიყენება არა მარტო ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ასახსნელად, არამედ გვიჩვენებს რეგიონული პრობლემების გადაჭრის გზას ნაკლებად განვითარებულ რაიონებში ხელოვნური "პოლუსების" ან ზრდის "წერტილების" შექმნით.

ფართო აღიარება პოვა ორმა ტერმინმა: ზრდის პოლუსმა და ზრდის ცენტრმა. ამით ერთგვარად იმიჯნება ფუნქციური და გეოგრაფიული ნაწილი. ზრდის პოლუსში გულისხმობენ დარგების ნაკრებს, ხოლო ზრდის ცენტრში – პოლუსის გეოგრაფიულ ინტერპრეტაციას, ანუ კონკრეტულ ცენტრს, ქალაქს.

1. ზრდის პოლუსი – ესაა საწარმოთა (და არა დარგების) რეგიონული (და არა ეროვნული) კვანძი, რომელიც დაკავშირებულია რეგიონის ეკონომიკის საექსპორტო სექტორთან (და არა წამყვან დარგთან) და მდებარეობს რეგიონის ერთ ან რამდენიმე გეოგრაფიულ გაერთიანებაში (კონცენტრაციებში). 2. ზრდის პოლუსების სისტემა და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იზრდება საერთოეროვნული მოთხოვნებით წარმოშობილი იმპულსების ხარჯზე, რომელიც გადაეცემა რეგიონის საექსპორტო სექტორის მეშვეობით და ხდება მათი ათვისება პოლუსებს შორის კონკურენციის პროცესში. 3. ზრდის იმპულსი გადაეცემა პერიფერიულ მეორეხარისხოვან დარგებს საწარმოთა შორის საბაზრო კავშირის მეშვეობით (და არა მიწოდების და მოხმარების გზით), ხოლო გეოგრაფიულ პერიფერიებს – ასეთივე სახით, მაგრამ განლაგების ფაქტორების გათვალისწინებით. ზრდის პოლუსის თეორიამ განვითარება პოვა გ. შოტიეს განვითარების ღერძების შესახებ ნაშრომებში. მისი ძირითადი იდეა იყო ის, რომ ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობს ზრდის პოლუსებს შორის და უზრუნველყოფს სატრანსპორტო კავშირს, იღებს ზრდის დამატებით იმპულსს ტვირთნაკადების გაზრდის წყალობით, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებით. ამიტომ ისინი გადაიქცევა განვითარების ღერძებად (დერეფნებად).

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა თვალსაზრისით ამუშავებდა ზრდის პოლუსის თეორიას, მაგრამ მათ იდეებს ჰქონდა საერთო საფუძველი. ზრდის პოლუსის კონცეფციას საფუძვლად უდევს შეხედულება ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის და, უპირველეს ყოვლისა, მოწინავე დარგების წამყვანი როლის შესახებ. ეკონომიკური სივრცის ის ცენტრები და არეალები, სადაც მდებარეობს მოწინავე დარგების საწარმოები, ხდება წარმოების ფაქტორების მოზიდვის პოლუსები, ვინაიდან უზრუნველყოფს მათ ყველაზე ეფექტიან გამოყენებას. ეს იწვევს საწარმოთა კონცენტრაციას და ეკონომიკური ზრდის პოლუსთა ჩამოყალიბებას. განვითარებადი ქვეყნების რეგიონულ პოლიტიკაში გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდია "ზრდის პოლუსების", ანუ "განვითარების ცენტრების" შექმნა. ზრდის პოლუსების შექმნის პოლიტიკა რეგიონული განვითარების მიზნით მიმართულია პრობლემურ რეგიონში ერთი ან რამდენიმე პოტენციური პოლუსის გულდასმით შერჩევაზე. სწორედ იქ მიმართავენ ახალ ინვესტიციებს იმის ნაცვლად, რომ "წერტილობრივად" გაანაწილონ ისინი მთელ რაიონში. თეორიულად "ზრდის პოლუსი" – ესაა სუსტად პოლარიზებული რაიონის განვითარების პოტენციური პუნქტი. რაც გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე და ხასიათდება დინამიკურობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Световцева М.Г. Управлеиие формированием экономического ядра региона: Автореф. дисс. ... канд. экон. наук. Воронеж, 2004.
2. Центр и периферия и региональном развитии / под ред. О.В. Грицайю М.: Наука, 1991.
3. Павлов Ю.М. Региональные исследования за рубежомю М.: Наука, 1973.

REFLECTIONS ABOUT AN ECONOMIC KERNEL AND GROWTH POLES

RUSUDAN TEVZADZE - PhD of GTU

Growth Pole theory has become a founding principle for regional development strategies of many developing and developed countries. Growth Pole model implies to unbalanced economic development of the region and is theoretically more general, rather than meticulously practical. It is also important to notice the difference between the terms, Growth Pole and Growth Center, since the last one has a geographic implication to it and describes simply a regional center, where the Growth Pole is concentrated with its different economic areas and branches. In conclusion, Growth Pole is the lightly polarized regional development plan with the potential of affecting the dynamic trend of economic development of the whole region.